საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 4 15 00944345

22/09/2015

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS)
ვიცე-დირექტორს, ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს
ბატონ პაატა გაფრინდაშვილს
ელ. მისამართი: n.vakhtangashvili@factcheck.ge

ბატონო პაატა,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2015 წლის 15 სექტემბრის N 831 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N910800, 16.09.2015) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 27-ე, 28-ე, 37-ე და მე-40 მუხლების, ასევე ,,საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-7 მუხლის ,,ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, ელექტრონულ ფოსტაზე (**humanrightsemc@gmail.com**) გიგზავნით, თქვენი წერილის პირველი და მეორე პუნქტებით მოთხოვნილ ინფორმაციას (იხ. დანართი).

ამასთან, თქვენი წერილის ბოლო პუნქტთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ ,,მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ბიუჯეტი შეადგენს - 6 183 000 (ექვსიმილიონ ასოთხმოცდასამიათასი) ლარს. ამ ეტაპზე დასრულებული არ არის პროგრამით გათვალისწინებული ყველა აქტივობა, რის გამოც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განსაზღვროს პროგრამის ფარგლებში აუთვისებელი თანხის ზუსტი ოდენობა.

განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომ თანამშრომლობაზე.

დანართი: 1 ელექტრონული ფაილი;

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგელებელი საჯარო მოსამსახურე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად
გამოქვეყნების სამმართველო
სამმართველოს უფროსი (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)
ნინო გაბრიელაშვილი